„მოიგე Iphone X ” -ელექტრონული თამაშის პირობები

1. **ელექტრონული თამაშის პერიოდი:** 2018 წლის 16 ივლისის 11:00 საათიდან - 2018 წლის 14 სექტემბრის 18:00 საათამდე.
2. **თამაშის ხანგრძლივობა :** 2 თვე
3. **თამაშში მონაწილეობის უფლება აქვთ:**

3.1. უნიქარდის მომხმარებლებს, რომელებიც დარეგისტრირებული არიან უნიქარდის ვებ-გვერდზე: www.unicard.ge და უნიქარდის პარტნიორ კომპანიებში მინიმუმ 20 ლარიან შენაძენზე განახორციელებენ უნიქარდის დაგროვების საბარათე ოპერაციას ან გადახდას VTB ბანკის და უნიქარდის ერთობლივი ბარათით უნიქარდის არაპარტნიორ ობიექტებში (შემდგომში ტრანზაქცია);

3.2. ნებისმიერ ახალ მომხმარებელს, რომელიც თამაშის პერიოდში აიღებს უნიქარდის ბარათს, დარეგისტრირდება უნიქარდის ვებ-გვერდზე: www.unicard.ge და მინიმუმ 20 ლარიან შენაძენზე განახორციელებს უნიქარდის დაგროვების საბარათე ოპერაციას ან გადახდას VTB ბანკის და უნიქარდის ერთობლივი ბარათით უნიქარდის არაპარტნიორ ობიექტებში (შემდგომში ტრანზაქცია)

3.3. მომხმარებელებს, რომლებიც შპს „ფეი უნიქარდში“ (უპერაში) (ს.კ 404519455) www.Upera.ge განახორციელებენ მინიმუმ 20 ლარიან უნიქარდის დაგროვების ოპერაციას (შემდგომში ტრანზაქცია).

4. **რეგისტრაციის წესები და პირობები**

4.1. ელექტრონული თამაშის დაწყების მიზნით მომხმარებელმა სავალდებულოა უნიქარდის ვებ-გვერდზე www.unicard.ge გაიაროს ავტორიზაცია (ერთჯერადად) და მობილური ტელეფონის ნომრით განახორციელოს იდენტიფიცირება. იდენტიფიცირების მიზნით მითითებულ ნომერზე გაეგზავნება სმს ერთჯერადი კოდი. რომელსაც შეიყვანს შესაბამის ველში და დაიწყებს თამაშს.

4.2. მომხმარებელებს, რომელთაც შეცვლილი აქვთ მობილურის ნომერი თამაშის დაწყების წინ იდენტიფიცირებისას შეეძლებათ ნომრის კორექტირება.

4.3. მომხმარებელს თამაში შეუძლია, როგორც უნიქარდის ძირითადი ბარათით, ასევ დამატებით ბარათებთან ერთად.

4.4. ძირითადი და დამატებითი ბარათების ერთი ანგარიში ითამაშებს ერთობლივად - თამაშის ერთი რუკით.

4.5. ძირითადი ბარათის სხვადასხვა ანგარიშების ერთი და იმავე მფლობელთათვის ამავე ანგარიშებზე ფორმირებული თამაშის კოდების დაჯამება არ განხორციელდება, აღნიშნულ ანგარიშებზე არსებული კოდები თამაშში მონაწილეობას მიიღებენ ერთმანეთისგან დამოუკიდებლად.

5. ელექტრონული თამაშის წესები და პირობები:

5.1. ავტორიზაციის შემდეგ მომხმარებელი გადავა თამაშის რუკაზე „სტარტ“ პოზიციაზე;

5.2. ერთი ანგარიშის ქვეშ გაერთიანებული ბარათებიდან თუ ერთი ბარათი მაინც გაივლის ავტორიზაციას, თამაშში ავტომატურად ერთვება ყველა დამატებითი ბარათი. დამატებითი ბარათის მფლობელები განახორციელებენ მხოლოდ მობილური ნომრის იდენტიფიცირებას და ერთჯერადი სმს კოდით დადასტურებას.

5.3. თამაში შედგება 60 ეტაპისგან;

5.4. თამაშის აქტიურ პერიოდში, როგორც კი მომხმარებელი განახორციელებს მინიმუმ 20 ლარიან ტრანზაქციას მას ავტომატურად მიუვა სმს კოდი ტექსტით: (ჩაერთე უნიქარდის ელექტრონულ თამაშში და მოიგე **Iphone X**. თამაშის დეტალები იხ. ვებ-გვერდზე www.unicard.ge sms off 95552)

5.5. მომხმარებელი, რომელიც გათამაშების პერიოდში უნიქარდის ნებისმიერ პარტნიორ კომპანიაში განახორციელებს ერთჯერზე 20 ლარზე მეტი თანხის ტრანზაქციას, მიიღებს ელექტრონული თამაშის ერთ უნიკლურ კოდს სმს-ის საშუალებით (თვასაჩინოებისთვის: ტრანზაქცია 50 ლარზე - 1 თამაშის კოდი, ტრანზაქცია 100 ლარზე -1 თამაშის კოდი და ა.შ მიუხედავად თანხის ოდენობისა).

5.6. მიღებული სმს კოდი, როგორც ძირითადი ისე დამატებითი ბარათების რეგისტრირებულმა მომხმარებლებმა უნდა შეიყვანოს თამაშის ველში, რათა გადავიდნენ მომდევნო ეტაპზე.

5.7. ერთ ანგარიშზე მიბმული ბარათები თამაშობენ ერთად (ერთი თამაშის რუკით) რაც ზრდის მოხერხებულობისა და პრიზის მოგების კოეფიციენტს ძირითადი ბარათის ანგარიშის მფლობელისათვის.

5.8. ყოველი ახალი უნიკალური კოდი საჭიროებს ვებ-გვერდზე თამაშის ველში ინდივიდუალურ შეყვანას (გააქტიურებას), რათა მოხდეს მომდევნო ეტაპზე გადასვლა, წინააღმდეგ შემთხვევაში მომდევნო ეტაპზე ავტომატურად გადასვლა არ ხორციელდება

5.9. ყოველი სმს კოდის გააქტიურებისას ელექტრონული თამაშის რუკაზე აინთება მომდევნო ეტაპი;

5.10. სმს კოდის გააქტიურება შესაძლებელია, როგორც სმს სახით მიღებისთანავე, ისე თამაშის დასრულებამდე ნებისმიერ დროს.

5.11. ერთი ანგარიშის ქვეშ გაერთიანებულ ბარათებს შეუძლიათ მაქსიმუმ გათამაშების 5 (ხუთი) სმს კოდის მიღება ერთი დღის (24 საათი) განმავლობაში, მაგრამ არაუმეტეს ერთი და იმავე მისამართზე არსებულ თითოეულ უნიქარდის პარტნიორ ობიექტებში სულ 2 (ორი) სმს კოდისა.

5.12. ვითიბის და უნიქარდის ერთობლივი ბარათით თანხის გადახდა უნიქარდის პარტნიორ ან არაპარტნიორ ორგანიზაციებში ითვლება ერთი ტიპის გადახდად და 24 საათის განმავლობაში მომხმარებელი მიიღებს მხოლოდ ორ კოდს, მიუხედავად ჩატარებული ტრანზაქციების რაოდენობისა.

5.13. ვითიბის და უნიქარდის ერთობლივი ბარათით თანხის გადახდისას უნიქარდის პარტნიორ ორგანზაციებში , როდესაც დამატებით, ქულების დასარიცხად ასევე ტარდება ბარათის მაგნიტური ზოლი, სმს კოდებს მომხმარებელი მიიღებს სტანდარტული სქემით.

5.14. მთელი თამაშის განმავლობაში მომხმარებლებისათვის ცნობილია უნიქარდის ქულების გარანტირებულად მოგების 2 (ორი) ეტაპი კერძოდ, 30-ე და მე-60 ეტაპები. მოგების ეტაპზე ძირითადი ბარათის მომხმარებელი გებულობს გარანტირებულ 30 და 60 ქულას კერძოდ, 30-ე ეტაპზე - 30 ქულას, ხოლო მე-60 ეტაპზე - 60 ქულას (აღნიშნული ეტაპები თამაშის რუკაზე წარმოდგენილია როგორც გარანტირებული მოგების ეტაპები/სპეციალური აღნიშვნით).

5.15. ელექტრონულ თამაშში თამაშდება მხოლოდ ერთი მთავარი პრიზი **Iphone X**, რომელიც მოცემულია მოგების მე-60 ეტაპზე.

5.16. უნიქარდის მთავარ პრიზს - **Iphone X** -ს მოიგებს უნიქარდის ძირითადი ბარათის ერთი მომხმარებელი, რომელიც აღმოჩნდება ყველაზე მოხერხებული და განახორციელებს ყველაზე სწრაფად, სამოცივე (60) მინიმუმ 20 ლარიან ტრანზაქციებს და შეიყვანს სამოცივე მიღებულ სმს კოდს ვებ გვერდზე თამაშის აქტიურ ველში (გამარჯვებული).

6. გამარჯვებულების გამოვლენა

6.1. გამარჯვებულის გამოვლენა მოხდება მომენტალურად, როგორც კი პირველივე მომხმარებელი, მე-60 ტრანზაქციის სმს კოდს შეიყვანს თამაშის ველში.

6.2. გამარჯვებული მომხმარებელი, ასევე ავტომატურად მიიღებს სმს შეტყობინებას ელექტრონული თამაშის მთავარი პრიზის **Iphone X** -ის მოგების შესახებ.

6.3. თამაშში გამარჯვებულის გამოვლენის შესახებ ინფორმაციის განთავსება განხორციელდება უნიქარდის ვებ-გვერდზე და უნიქარდის ფეისბუქ (facebook) გვერდზე იმავე სამუშაო დღეს (10:00 – 19:00 საათამდე) ან მომდევნო სამუშაო დღეს სამუშაო საათებში (10:00 – 19:00 საათამდე).

6.4. უნიქარდი იტოვებს უფლებას თამაშში გამარჯვებულის შესახებ ინფორმაცია კერძოდ სახელი, გვარი და ფოტოსურათი განათავსოს გაავრცელოს/გაასაჯაროვოს ნებისმიერი სარეკლამო/საინფორმაციო სახით სარეკლამო-მარკეტინგული არხების საშუალებით (უნიქარდის ვებ-გვერდი, სოციალურ ქსელ Facebook-ის უნიქარდის გვერდი, ვებ-ბანერი, სარეკლამო კლიპები) მარკეტინგული მიზნებისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

6.5. ის მომხმარებლები, რომლებმაც ელექტრონული თამაშის განმავლობაში ვერ მოიგეს მთავარი პრიზი, მაგრამ გადალახეს გარანტირებული უნიქარდის მოგების ეტაპები, მომენტალურად დაერიცხებათ 30 და 60 ქულა, რომელზედაც ინფორმაციას სმს სახით მიიღებენ მომენტალურად.

6.6. თუ ელექტრონულ თამაშში 2018 წლის 14 სექტემბრის 18:00 საათამდე არ გამოვლინდა მთავარი პრიზის გამარჯვებული ამ შემთხვევაში თამაში შეწყდება ამავე თარიღის 18:00 საათის შესრულებისთანავე გამარჯვებულის გამოვლენის გარეშე.

6.7. თუ ელექტრონული თამაშის პერიოდში, თამაშის დასრულებამდე გამოვლინდა მთავარი პრიზის გამარჯვებული ამ შემთხვევაში თამაში გაგრძელდება 2018 წლის 14 სექტემბრის 18:00 საათამდე და ამ პერიოდში ყოველი 30-ე და მე-60 ეტაპის გამარჯვებული მიიღებს 30 და 60 უნიქარდის ქულას.

7. სხვა საკითხები

7.1. არარეგისტირებული მომხმარებელი ვერ მიიღებს თამაშში მონაწილეობას.

7.2. უნიქარდს უფლება აქვს მომხმარებელი გათიშოს/დაბლოკოს თამაშიდან ნებისმიერ ეტაპზე, თუ კოდების მიღებას და გენერირებას მიეკუთვნა საეჭვო ოპეაციის სტატუსი უნიქარდის მიერ.

7.3. უნიქარდში დასაქმებულ თანამშრომლებისა და მათ მფლობელობაში არსებულ უნიქარდის ძირითადი ბარათის ანგარიშებზე მიბმული ყველა დამატებითი ბარათის მფლობელებს ეზღუდებათ თამაშში მონაწილეობის მიღება.

7.4. მთავარი პრიზი, **Iphone X** - გაიცემა მხოლოდ ძირითადი ბარათის მფლობელზე. პირადობის დამადასტურებელი საბუთის წარდგენის შემთხვევაში.